

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ოთარ ჩალათაშვილის 2020 წლის წლიური ანგარიში

მოგესალმებით ჩემო საგარეჯოელებო, ქალბატონებო და ბატონებო, პატივცემულო საკრებულოს წევრებო. მინდა წარმოგიდგინოთ საკრებულოს 2020 წლის წლიური ანგარიში.

ყველას მოგვეხსენება რომ წლევეანდელი წელი არიყო მარტივი გლობალური პანდემიიდან გამომდინარე. Covid 19 გამოწვევად იქცა საქართველოსთვის, ისევე როგორც მთელი მსოფლიოსთვის. აღნიშნული მდგომარეობა უცხო და მოულოდნელი იყო ყველასთვის, თუმცა ჩვენ საკრებულოს უკლებლივ ყველა თანამშრომელი შევეცადეთ ჩვენი მოკრძალებული წვლილი შეგვეტანა პანდემიასთან ბრძოლის საქმეში. საკრებულოს თავმჯდომარემ და თავმჯდომარის მოადგილემ 3 თვის მანძილზე ხელფასის 30% ჩავრიცხეთ StopCov ქველმოქმედების ფონდში. ასევე საკრებულოს თანამდებობის პირებმა ხელფასის 20% და აპარატის თანამშრომლებმა 10% ჩარიცხეს აღნიშნულ ფონდში, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო მათ. საკრებულოს თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული გაზაფხულზე მოსახლეობის თერმოსკრინინგის პროცესში. ასევე დაეხმარნენ მოქალაქეებს რეგისტრაციაში 17 წლამდე ასაკის ბავშვებზე ერთჯერადი სახელმწიფო დახმარების მისაღებად.

საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები მუდმივად იმალლებენ კვალიფიკაციას, ესწრებიან სხვადასხვა დონის შეხვედრებს და ტრენინგებს. საანგარიშო პერიოდში საკრებულოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს და წარმატებით გაიარეს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ ორგანიზებული ონლაინ ტრენინგი, თემაზე - „საარჩევნო კამპანია და ადმინისტრაციული რესურსი საარჩევნო პროცესებში ადმინისტრაციული რესურსის არამართლზომოვრად გამოყენების პრევენცია და რეაგირება დარღვევებზე“ და „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობა“.

როგორც მოგეხსენებათ წელს იყო საარჩევნო წელი. მადლიერება მინდა გამოვხატო ამომრჩევლების მიმართ, რომლებმაც 2020 წლის 31 ოქტომბერს კიდევ ერთხელ, მიუხედავად არსებული რთული ეპიდსიტუაციისა, გააკეთეს ღირსეული არჩევანი.

ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის ერთ-ერთი ვალდებულებაა წელიწადში ერთხელ ამომრჩეველს წარვუდგინო ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

როგორც მოგეხსენებათ 2019 წელს წარმოვადგინე ანგარიში 2018 წლის 01 ნოემბრიდან 2019 წლის 01 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ. შესაბამისად წარმოგიდგინებ მორიგ წლიურ ანგარიშს 2019 წლის 01 ნოემბრიდან 2020 წლის 01 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

როგორც თქვენთვის ცნობილია, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის #19 დადგენილებით დამტკიცებული „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს შესაბამისად პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრის შედეგად არჩეული 37 წევრისგან,

დღეისათვის საკრებულოში შექმნილია 5 ფრაქცია და 5 მუდმივმოქმედი კომისია.

საკრებულოს ბიურო შედგება 12 წევრისგან: საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები.

საკრებულოს ფრაქციებია:

1. ფრაქცია - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე ელდარ მეფარიძე. მოადგილეები: ივანე ბეჟიაშვილი, აიაზ ბაირამოვი.
2. ფრაქცია - „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე ალექსანდრე მეზვრიშვილი, მოადგილე გიორგი მუჩიაშვილი.
3. ფრაქცია - „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ - თავმჯდომარე ალექსი იოსელიანი მოადგილე დავით არაბული.
4. ფრაქცია - „ქართული ოცნება - მწვანეები“ - თავმჯდომარე ნიკო ნახუცრიშვილი, მოადგილე თენგიზ ძირკველიშვილი .
5. ფრაქცია - „ქართული ოცნება -სოფლის განვითარებისთვის“ - თავმჯდომარე ვეფხია ჩერქეზიშვილი, მოადგილე ზურაბ ჭიკაძე.

ფრაქციები სხდომებზე პერიოდულად განიხილავენ საკრებულოში შემოსულ საკითხებს.

საკრებულოს კომისიები:

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის, მისი

სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით შექმნილია **5 მუდმივმოქმედი კომისია**:

1. იურიდიულ საკითხთა კომისია - თავმჯდომარე ზურაბ უსტიაშვილი.
2. საფინანსო - საბიუჯეტო კომისია - თავმჯდომარე ელენე სამხთუაშვილი.
3. სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია - თავმჯდომარე გივი ბედიაშვილი.
4. სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია - თავმჯდომარე თამაზ ურდულაშვილი.
5. ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია - თავმჯდომარე ივანე ივანიშვილი.

კომისიები თავის საქმიანობას წარმართავენ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე დამტკიცებული კვარტალური გეგმების შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარეები რეგულარულად ახდენენ მოქალაქეთა მიღებას და ეხმარებიან პრობლემების მოგვარებაში.

საკრებულოს ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებას უწევს საკრებულოს აპარატი, რომელიც შედგება ორი განყოფილებისაგან:

1. საორგანიზაციო და იურიდიულ საკითხთა განყოფილება.
2. მოქალაქეთა მომსახურების და საქმისწარმოების განყოფილება.

საკრებულოს აპარატში დასაქმებულია 17 პროფესიული საჯარო მოსამსახურე და 7 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

აქვე გაცნობებთ რომ Covid-19 პრევენციულ ღონისძიებასთან დაკავშირებით 2020 წლის 13 მარტიდან საკრებულოს აპარატი გადასულია მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე და შეფერხების გარეშე ასრულებს თავის ფუნქცია-მოვალეობებს.

2020 წელი, ჩვენთვის, საკრებულოს თანამშრომლებისთვის მარტო პანდემიის გამო არ ყოფილა რთული. ჩვენ გამოგვაკლდა ძალიან ძვირფასი ადამიანი, თავისი საქმის პროფესიონალი, სანაქებო თანამშრომელი ნატო ყაზარაშვილი. მისი წასვლა დიდი დანაკლისია ჩვენთვის.

საკრებულოს სხდომების სტატისტიკა:

საანგარიშო პერიოდში საკრებულოში ჩატარებულია:

1. საკრებულოს ბიუროს 18 სხდომა
2. საკრებულოს 16 სხდომა აქედან:
 - 11 მორიგი
 - 5 რიგგარეშე.
3. მიღებულია 66 გადაწყვეტილება,
 - 23 დადგენილება
 - 43 განკარგულება.

4. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამოცემულია 82 ბრძანება.

მიღებული სამართლებრივი აქტები გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით. საკრებულოს მიერ მიღებულ არცერთ დადგენილებაზე არ მოსულა საქართველოს მთავრობიდან სამართლებრივი შენიშვნა .

5. საკრებულომ მერის მიერ ინიცირებული საკითხებიდან არ დაამტკიცა საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შესატანი ცვლილების პროექტი, დამატებითი შესწავლის და სრულყოფის მიზნით უკან დააბრუნა „ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” განკარგულების პროექტი. კორექტირება განიცადა მერიიდან შემოსულმა რამდენიმე სამართლებრივმა აქტის პროექტმა.

წარმოგიდგენთ კომისიის სხდომების სტატისტიკას:

1. იურიდიულ საკითხთა კომისია - ჩატარებულია 8 სხდომა, განხილულია 16 საკითხი.
2. სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია - ჩატარებულია 12 სხდომა, განხილულია 12 საკითხი.
3. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - ჩატარებულია 12 სხდომა, განხილულია 11 საკითხი 11
4. სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია- ჩატარებულია 4 სხდომა, განხილულია 8 საკითხი.
5. ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია - ჩატარებულია 12 სხდომა, განხილულია 17 საკითხი.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლით დადგენილი საკრებულოს უფლებამოსილებების შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკრებულოს საქმიანობას კონკრეტული სფეროების მიხედვით:

1. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზებისა და მისი იდენტურობის განსაზღვრის სფეროში:

ა. ჩემს მიერ ინიცირებულია საკითხი ქალაქ საგარეჯოში, ერეკლე მეორეს ქუჩაზე, 9 აპრილის ქუჩის მიმართულებით (ქვევიდან ზევით), დავით აღმაშენებლის ქუჩის კვეთიდან 9 აპრილის ქუჩის კვეთამდე ცალმხრივი მოძრაობის და ქალაქ საგარეჯოში, ლესელიძის ქუჩაზე, თამარ მეფის ქუჩის მიმართულებით, ლესელიძის ქუჩის და ერეკლე მეორეს ქუჩის კვეთიდან, ლესელიძის და თამარ მეფის ქუჩის კვეთამდე ცალმხრივი მოძრაობის მოწყობის შესახებ. აღნიშნული ცვლილება მოაგვარებს ამ ქუჩებზე არსებულ საცობების პრობლემას და კომფორტულს გახდის მოქალაქეების გადაადგილებას.

2. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის რეგულირებისა და კონტროლის სფეროში.

პანდემიასთან დაკავშირებული შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე არ მომხდარა მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირების ანგარიშების მოსმენა. ამჟამად დაგეგმილია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მორიგი წლიური ანგარიშის მოსმენა.

საკრებულომ მერის ინიციატივით შეითანხმა მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა.

საკრებულომ 2020 წლის 25 ივნისის N17 განკარგულებით დაამტკიცა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა

3. საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში.

2019 წლის 27 დეკემბრის #18 დადგენილებით დამტკიცებული საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში შესულია 5 ცვლილება:

პირველი ცვლილებით: დადგენილების პროექტის მომზადება გამოიწვია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის #506, #136, #955, #2577, #557, #554, #2159, #1577, #45, #13 განკარგულებებით გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი ნაშთის განაწილებამ და საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე ნაშთის გამოყენებით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის #2630 განკარგულებით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის #2752 განკარგულებით და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 იანვრის #27 განკარგულებით გამოყოფილი თანხის დამატებამ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 6175,643 ათასი ლარით, გადასახდელები სახ.ბიუჯეტით გაიზარდა 7370,910 ათასი ლარით და გადასახდელები საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე ნაშთის გამოყენების ხარჯზე 497,177 ათასი ლარით. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის #2630 განკარგულებით 2020 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის განისაზღვრა 4 461.930 ათასი ლარით; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის #2752 განკარგულებით 2020 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისთვის განისაზღვრა 658 ათასი ლარი. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 იანვრის #27 განკარგულებით „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ განისაზღვრა მუნიციპალიტეტისთვის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილებების განსახორციელებლად გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერი.

1) საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერი განისაზღვრა 730 000 ლარით;

2) მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერი, მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების ღირებულების შესაბამისად, 325712,25 ლარით;

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის #2630 განკარგულებით 2020 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხიდან:

1) საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ახალი გზების მშენებლობის ქვეპროგრამის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლს დაემატა 3 801 661 ლარი, კერძოდ, ქ.საგარეჯოში სათავის ქუჩის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები (დარჩენილი მონაკვეთი) 218693 ლარი; (თანადაფინანსება 11511 ლარი გათვალისწინებული იყო დამტკიცებულ ბიუჯეტში); ქ.საგარეჯოში განთიადის, გორის, თამარ მეფის ქუჩების მოასფალტების სამუშაოები - 319097 ლარი (თანადაფინანსება 16795 ლარი გათვალისწინებული იყო დამტკიცებულ ბიუჯეტში); ქ.საგარეჯოში ვაჟა-ფშაველას ქუჩის მოასფალტების სამუშაოები - 87488 ლარი (თანადაფინანსება 4605 ლარი გათვალისწინებული იყო დამტკიცებულ ბიუჯეტში); ქ.საგარეჯოში კახეთის გზატკეცილის №1 შესახვევის მოასფალტება ე.წ. „სოკარის ქუჩა“- 209659 ლარი (თანადაფინანსება 11035 ლარი გათვალისწინებული იყო დამტკიცებულ ბიუჯეტში); ქ.საგარეჯოში ქუჩიშვილის და ტაბიძის ქუჩების მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები - 649106 ლარი (თანადაფინანსება 34165 ლარი გათვალისწინებული იყო დამტკიცებულ ბიუჯეტში); ქ.საგარეჯოში გიორგი ბრწყინვალეს ქუჩის მოასფალტების სამუშაოები - 429762 ლარი (თანადაფინანსება 22620 ლარი გათვალისწინებული იყო დამტკიცებულ ბიუჯეტში); ქ.საგარეჯოში ჩოლოყაშვილის ქუჩის მოასფალტება - 173883 ლარი (თანადაფინანსება 9155 ლარი გათვალისწინებული იყო დამტკიცებულ ბიუჯეტში); სოფელ გიორგიწმინდაში სასაფლაოს გზაზე რკ/ბეტონის საფარის მოწყობა - 180594 ლარი, თანადაფინანსება 9505 ლარის დამატება მოხდა ნაშთის გამოყენების ხარჯზე საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე. სოფ. პ/ჩაილურში ცენტრალური გზის მოასფალტება - 279465 ლარი (თანადაფინანსება 14709 ლარი გათვალისწინებული იყო დამტკიცებულ ბიუჯეტში); სოფ. პატარძელში მონასტერთან მისასვლელი გზის მოასფალტება - 426763 ლარი (თანადაფინანსება 22462 ლარი გათვალისწინებული იყო დამტკიცებულ ბიუჯეტში); ქ.საგარეჯოში ჯაფარაძის ქუჩაზე ტროტუარების მოწყობა 112708 ლარი (თანადაფინანსება 5932 ლარი გათვალისწინებული იყო დამტკიცებულ ბიუჯეტში); სოფ. პატარძელში ე.წ. (ონანთ) უბნის გზის მოასფალტება - 370647 ლარი (თანადაფინანსება 19508 ლარი გათვალისწინებული იყო დამტკიცებულ ბიუჯეტში); ქ.საგარეჯოში გურამიშვილის ქუჩის დარჩენილი

მონაკვეთის მოასფალტება -187046 ლარი (თანადაფინანსება 37046 ლარი გათვალისწინებული იყო დამტკიცებულ ბიუჯეტში); ქ.საგარეჯოში ზაზა ქურხულის ქუჩის მოასფალტება - 156750 ლარი (თანადაფინანსება 8250 ლარის დამატება მოხდა ნაშთის გამოყენების ხარჯზე საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე).

განათლების პროგრამის სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობის ქვეპროგრამის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლს დაემატა 660269 ლარი; კერძოდ დაფინანსდა:

1) სოფელ უჯარმაში საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაციის სამუშაოები - (თანადაფინანსება 12475 ლარი გათვალისწინებული იყო დამტკიცებულ ბიუჯეტში);

2) სოფელ პატარძელის #2 საბავშვო ბაღის შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები - 423244 ლარი (თანადაფინანსება 22276 ლარის დამატება მოხდება ნაშთის გამოყენების ხარჯზე საბიუჯეტო სახსრები). საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის #506 განკარგულებით 2015 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხიდან ნაშთი შეადგენს 3056,14 ლარს; საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის #136 განკარგულებით 2018 წელს გამოყოფილი თანხიდან ნაშთი შეადგენს 35836.62 ლარს:

1) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯიდან 7352,75 ლარი: ქ.საგარეჯოში გურამიშვილის ქუჩის მოასფალტება - 3258,28 ლარი, მანავში გადასასვლელი ხიდის მოწყობა - 4094,47 ლარი.

2) სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის ხარჯიდან 18351,83 ლარი - ქ.საგარეჯოში სტადიონის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები (მეორე ეტაპი).

3) სკოლამდელი დაწესებულებების ხარჯები 10132,04 ლარი - ქ.საგარეჯოს #5 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია; საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 მაისის #955 განკარგულებით 2018 წელს „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან“ მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხიდან ნაშთი შეადგენს 1949,33 ლარს:

1) სოფლებში გომბორში და კოჭბაანში გარე განათების მოწყობა - 1949,21 ლარი; 2) სოფელ კოჭბაანში საბავშვო ბაღის მოწყობა - 0,12 ლარი. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის #2577 განკარგულებით 2019 წელს გამოყოფილი თანხიდან ნაშთი შეადგენს 360758 ლარს: ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯიდან - 326887,75 ლარი; დასახელება ვალდებულების # ხელშეკრულების # ნაშთი ანგარიშზე

1. ქ.საგარეჯოში გ.ქურდიანის ქუჩაზე "ღვთისმშობლის" ეკლესიამდე მისასვლელი გზის მოასფალტება 10929 80/1 22127.17

2. ქ.საგარეჯოში შოთა რუსთაველის ქუჩაზე (წიფლის ხევის) მიმდებარედ გზის მოასფალტება პროექტის შეძენა 10929 80/1 80300.47

3. ქ.საგარეჯოში სათავის ქუჩის წმინდა გიორგის ეკლესიასთან მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოები 3269 20 6364.46

4. ქ.საგარეჯოში სარაჯიშვილის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები 3952 25/1 12809.45

5. ქ.საგარეჯოში მარჯანიშვილის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები 3952 25/1 11445.4

6. სოფელ მანავში ე.წ.ტურის უბანში ა/ზეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები 3668 25 13232.87

7. სოფელ ხაშში შიდა საავტომობილო გზის მოასფალტება და სკოლისკენ მიმავალ გზაზე ქვის ფენილის მოწყობა 6278 44 15237.58

8 ქ.საგარეჯოში თამარ მეფის ქუჩაზე ტროტუარების მოწყობა, მოასფალტება და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია 8964 68 165370.35 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია და მოვლა–შენახვის ხარჯებიდან - 33870,25 ლარი.

დასახელება ვალდებულები # ხელშეკრულების # ნაშთი ანგარიშზე

1 სოფელ კაკაბეთში სასმელი წყლის ქსელის მოწყობა (მეორე ეტაპი) 4116 28/1 33165.58

2. სოფელ დიდ ჩაილურში დაზიანებული სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის ამოცვლა -128 050 ლარი; 12204 94/1 0.67

3. სოფელ უდაბნოში არსებული საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია - 52 250 ლარი; 12215 94/3 704 საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის #557 განკარგულებით 2019 წელს გამოყოფილი თანხიდან ნაშთი შეადგენს 145620,61 ლარს:

დასახელება ვალდებულების # ხელშეკრულების # ნაშთი ანგარიშზე

1. სოფელ პატარა ჩაილურში შიდა ცენტრალურ საავტომობილო გზაზე სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები 12790 96/3 87500

2. სოფელ დიდ ჩაილურში შიდა ცენტრალურ საავტომობილო გზაზე სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები 11364 82 12416.53

3. სოფელ ყანდაურაში შიდა ცენტრალურ საავტომობილო გზაზე სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები 13104 100/1 45704.08 საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის #554 განკარგულებით 2019 წელს გამოყოფილი თანხიდან ნაშთი შეადგენს 512914,27 ლარს:

დასახელება ვალდებულების # ხელშეკრულების # ნაშთი ანგარიშზე

1.ქ.საგარეჯოში კახეთის გზატკეცილზე სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“-ს შენობის მშენებლობის სამუშაოები 12005 90 245446.11

2.სოფელ გომბორში სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“-ს შენობის მშენებლობის სამუშაოები 12171 93 214849

3. სოფელ გომბორის ამბულატორიის რეაბილიტაცია 10408 76/2 0.61

4. სოფელ გიორგიწმინდის ამბულატორიის რეაბილიტაცია 10409 76/1 0.29

5. სოფელ თოხლიაურის ამბულატორიის რეაბილიტაცია 10409 76/1 0.04

6. სოფელ მანავის ამბულატორიის რეაბილიტაცია 10409 76/1 0.22

7. სოფელ პატარძელის ამბულატორიის რეაბილიტაცია 10408 76/2 2.01

8. სოფელ ყანდაურის ამბულატორიის რეაბილიტაცია 10410 76/3 0.99

9. სოფელ დიდ ჩაილურის ამბულატორიის რეაბილიტაცია 12182 93/1 52615 საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 ივლისის #1577 განკარგულებიდან ნაშთი შეადგენს 24170,67 ლარს:

დასახელება ნაშთი ანგარიშზე

1. ს.წყაროსთავში სტადიონის მოწყობის მიმდინარე სამუშაოების დასრულება, კერძოდ ხელოვნურ საფარიანი მოედნის მოწყობა და შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტ.შესყიდვა 3270.91 ს.

2. მანავის სპორტული დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება, კერძოდ 2(ორი) ერთეული ოთახის რეაბილიტაცია და შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკ.შესყიდვა 5260.78 სასმელი წყლის პოლიეთილენის მილების შეძენა 4660 სოფელ კაკაბეთში არსებული სასმელი წყლის ავზის გადახურვა 10000 ქ.საგარეჯოს ტერიტორიაზე დამონტაჟებული დაზიანებული სკამების აღდგენა (სპეც.ტრანსფერი) 978.98 საქართველოს მთავრობის 2019 წლის 11 ოქტომბრის #2159 განკარგულებიდან ნაშთი შეადგენს 30125 ლარს: დასახელება ნაშთი ანგარიშზე სოფელ კაკაბეთში დვრინის წყალზე სადრენაჟე სისტემის მოწყობარეაბილიტაციის სამუშაოები 15000 მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებულ სასმელი წყლის რეზერვუარებზე წყლის დამცლელი მექანიზმების მოწყობის სამუშაოები 15125 საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის #45 განკარგულებით 2019 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი 658 ათასი ლარიდან ნაშთი შეადგენს 31031,1 ლარს.

3. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის #13 განკარგულებით „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ განისაზღვრა მუნიციპალიტეტისთვის საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილებების განსახორციელებლად გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერიდან ნაშთმა შეადგინა 49805,19 ლარი, მათ შორის:

1. საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერიდან ნაშთმა შეადგინა 7821,16 ლარი;

2. მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერიდან ნაშთი შეადგენს 41984,03 ლარს.

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით (გასული წლის ნაშთიდან) დაფინანსდა:

1) საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, ახალი გზების მშენებლობა - 320656 ლარი: მათ შორის ინფრასტრუქტურული პროექტების სამუშაოების საზედამხედველო მომსახურების - 24308 ლარი, საინჟინრო-მონიტორინგის ჯგუფის დავალიანება - 118525 ლარი, უდაბნოს გზის მოასფალტების სამუშაოები-160068 ლარი, სოფელ გიორგიწმინდაში სასაფლაოს გზაზე რკ/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების თანადაფინანსება 9505 ლარი და ქ.საგარეჯოში ზაზა ქურხულის ქუჩის მოასფალტების თანადაფინანსება 8250 ლარი. გზების შეკეთება -2739 ლარი (გზების ორმოული შეკეთების საზედამხედველო მომსახურების ღირებულება);

2) სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია - 7280 ლარი (ს.კაკაბეთის სასმელი წყლის ქსელი მოწყობის სამუშაოების საზედამხედველო მომსახურების ღირებულება);

3) გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა - 17369 ლარი (ქ.საგარეჯოში სათავის ქუჩაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოები ხელშ.#147/1).

4) სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა,რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 5500 ლარი (სამუშაოების საზედამხედველო მომსახურების ღირებულება);

5) სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა 97092 ლარი. მათ შორის: კაკაბეთის #2 საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია -71484 ლარი, და ამ სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება 3332 ლარი. სოფელ პატარძელის #2 საბავშვო ბაღის შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოების თანადაფინანსება 22276 ლარი.

6) საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა - 23994 ლარი (საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტების საზედამხედველო მომსახურების ღირებულება (2%)).

7) სოფლის ამბულატორიების ხელშეწყობა და ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია - 25286 ლარი, სამუშაოების საზედამხედველო მომსახურების ღირებულება ---- ლარი, მათ შორის ქ.საგარეჯოში კახეთის გზატკეცილზე სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“-ს შენობის მშენებლობის სამუშაოები - 13469 ლარი და სოფელ გომბორში სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“-ს შენობის მშენებლობის სამუშაოები - 11817 ლარი. სულ წინა წლის ნაშთიდან საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე განაწილდა 497177 ლარი, სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერის - 1195267,66 ლარი.

მეორე ცვლილებით დადგენილების პროექტის მომზადება გამოიწვია

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის #2630 განკარგულებით გამოყოფილი თანხის დამატებით და საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე ნაშთის გამოყენებით.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 390,496 ათასი ლარით, გადასახდელები სახ.ბიუჯეტით გაიზარა 390,496 ათასი ლარით და გადასახდელები საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე ნაშთის გამოყენების ხარჯზე 1303,484 ათასი ლარით. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 7 თებერვლის #232 განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის #2630 განკარგულებაში და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 390 496 ლარი. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის #2630 განკარგულებით 2020 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის დამატებით გამოყოფილი თანხიდან:

1) სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის ქვეპროგრამის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლს დაემატა 252931 ლარი, კერძოდ

ა) სოფ.გომბორში საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაცია - 162906 ლარი, თანადაფინანსება 8574 ლარის დამატება მოხდება ნაშთის გამოყენების ხარჯზე საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე.

ბ) სოფელ ბადიაურში ახალი სპორტული დარბაზის მოწყობა - 90025 ლარი, თანადაფინანსება 213655 ლარის დამატება მოხდა ნაშთის გამოყენების ხარჯზე საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე.

2) საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია ქვეპროგრამის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლს დაემატა 137565 ლარი; კერძოდ

დაფინანსდა ქ.საგარეჯოში გმირთა მემორიალის რეაბილიტაცია რეკონსტრუქცია და მხატვრული მინათების მოწყობა, თანადაფინანსება 7241 ლარის დამატება მოხდება ნაშთის გამოყენების ხარჯზე საბიუჯეტო სახსრები. ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით (გასული წლის ნაშთიდან) დაფინანსდა:

1) საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, ახალი გზების მშენებლობა - 194095 ლარი: მათ შორის:

ა). ს.ხაშმის საავტომობილო გზის (დაახლოებით 1,3კმ) და ს.ლამბალოსა და ს.თულარის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის (დაახლოებით 5კმ) მოასფალტების სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა 180000 ლარი, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის #2577 განკარგულებით 2019 წელს განხორციელებული პროექტების თანადაფინანსება (ასანაზღაურებელი თანხა) 14095 ლარი;

2) გზების შეკეთება - 191787 ლარი, მათ შორის: მუნიციპალიტეტის სოფლებში შიდა საუბნო გზების მოხრეშვის სამუშაოები - 100000 ლარი; მუნიციპალიტეტის სოფლებში სიჩქარის შემზღვევადი ბარიერების, ქვეითად მოსიარულეთა საგზაო გადასასვლელების „ზებრების“, საგზაო ჰორიზონტალური მონიშვნების და საგზაო სარკეების დამონტაჟების სამუშაოები სავარაუდო ღირებულებით - 42 000 ლარი; 2019 წლის #54 ხელშეკრულებით (გზების ორმოული შეკეთების სამუშაოები) ასანაზღაურებელი თანხა 49787 ლარი.

3) სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია -371762 ლარი, მათ შორის 2020 წელს განსახორციელებელი პროექტების სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა 80000 ლარი, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის #2577 განკარგულებით 2019 წელს განხორციელებული პროექტების თანადაფინანსება (ასანაზღაურებელი თანხა) 11618 ლარი; 2019წლის #147 ხელშეკრულებით ასანაზღაურებელი თანხა 11765 ლარი (ს.ნინოწმინდაში და გიორგიწმინდაში სათავე-ნაგებობების შემოღობვის სამუშაოები). 2019წლის #83/1 ხელშეკრულებით ასანაზღაურებელი თანხა (სოფელ დუზაგრამაში არსებულ სატუმბო სადგურში დაზიანებული ტუმბოების შექმნა-მონტაჟის სამუშაოები) 6289 ლარი. 2019წლის #113 ხელშეკრულებით (სოფელ ხაშმის „აგარაკებზე“ ტუმბოს მოწყობის და სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები) ასანაზღაურებელი თანხა 9747 ლარი. ქ.საგარეჯოში კახეთის გზატკეცილი #12-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსისთვის სასმელი წყლის სატუმბო სადგურის და მილის მოწყობის სამუშაოები - 20000 ლარი, 2019 წლის #90/1 ხელშეკრულებით (ხარჯთაღრიცხვების შედგენის მომსახურება) ასანაზღაურებელი თანხა 20000 ლარი. 2020 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში გათვალისწინებული პროექტების ხარჯთაღრიცხვების მიხ. დაზუსტების შედეგად შეიცვალა ღირებულებები და ამ პროექტების განსახორციელებლად დამატებით საჭირო გახდა 212343 ლარის გამოყოფა.

დასახელება ღირებულება პროექტის სახედამხედველო მომსახურება

1000 ტონიანი რეზერვუარის მოწყობა ბაღდო, წიწმატიანი, დუზაგრამა, თულარი, კაზლარი, ლამბალო, ქეშალო, მულანლო), პროექტის ღირებულება 1540804 ლარი. 80000 84745 სოფ. თულარში და სოფელ კაზლარში სასმელი წყლის მაგისტრალისა და საუბნო ონკანების მოწყობა -744658ლ (თანადაფინანსება) 37233 40955.75, სოფ.თოხლიაურში, სათავე-ნაგებობიდან სოფლამდე სასმელი წყლის მილის

მოწყობა 111421 6128.155, სოფელი გიორგიწმინდა, "ნასადგომარიდან", ანთოკმარიამჯვარის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა-908302ლ (თანადაფინანსება). 45415 49957 კოსტავას ქუჩაზე კორპუსებთან სასმ.წყლის ავზის მოწყობა 49437 2719.035 ს.გომბორის წყალმომარაგება-197166ლ (თანადაფინანსება) 9858 10845 ს.მზისგულიში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები 75000 4125. ს.დიდ ჩაილურში 50მ.კუბ. ტევადობის სასმ.წყლის ავზის შექმნა-მონტაჟი 25000 ს.ნინოწმინდაში ბასეინთან არსებული სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია, 50000 2750 სოფელ ნინოწმინდაში "მილხინეს" წყლიდან სასმელი წყლის ქსელის მოწყობა, ძველი სათავედან წყლის გადმოყვანა, 50000 2750 ს.წყაროსთავში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა ე.წ. ბებერ წყლებთან რეზერვუარით 55000 3025 ს.პატარძელში სტადიონთან სასმ.წყლის ჭაბურღილის მოწყობა რეზერვუარით 80000 4400 3 ჭაბურღილის მოწყობა დამატებით 240000 13200 სასმელი წყლის ჭაბურღილებისთვის ამქაჩი ტუმბოების მოწყობა 80000 სოფელ მანავში 2 რეზერვუარის მოწყობა, ბურდიანში ჭაბურღილის მოწყობა 70000 3850 სოფელ კაკაბეთში ე.წ.საბას წყალზე მიღების ამოცვლა 150000 8250 სოფელ სათაფლემში სასმელი წყლის ჭაბურღილის რეაბილიტაცია 5000 სოფელ უჯარმაში ახალი წყალშემკრების მოწყობა 40000 სოფელ სოფელ წყაროსთავში ჭაბურღილის მოწყობა 31000 სოფ. შიბლიანში ჭაბურღილის მოწყობა 60000 3300 სოფელ ვერხვიანში სათავე-ნაგებობის შემოღობვა; 10000 წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია 1375879 2730243 საინჟინრო-მონიტორინგის ჯგუფის მომსახურება 241000 241000 წყლის სისტემების რეაბილიტაცია 2971243

4) სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 219057 ლარი, მათ შორის 2019წლის #149/1 ხელშეკრულებით ასანაზღაურებელი თანხა 49977 ლარი (საგარეჯოში მდინარე წიფლისხევეზე ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოები). საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის #557 განკარგულებით 2019 წელს განხორციელებული პროექტების თანადაფინანსება (ასანაზღაურებელი თანხა) 18878 ლარი (ხელშ.#100/1 და #96/3); ს.ნინოწმინდაში საჯარო სკოლასთან დაზიანებული რ/ბეტონის სანიაღვრე არხების და ლითონის ცხაურების აღდგენის სამუშაოები -2856 ლარი; ს.პატარძელის საჯარო სკოლის შესასვლელში ლითონის ცხაურის მოწყობის სამუშაოები -2346 ლარი; ს.ყანდაურაში საავტომობილო გზაზე რ/ბეტონის სანიაღვრე არხის და ლითონის ცხაურების მოწყობის სამუშაოები სავარაუდო ღირებულება 145 000 ლარი.

5) საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია - 14073 ლარი, მათ შორის: საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის #2630 განკარგულებით განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება - 7241 ლარი, კერძოდ ქ.საგარეჯოში გმირთა მემორიალის რეაბილიტაციარეკონსტრუქცია და მხატვრული მინათების მოწყობის სამუშაოები. ს.ნინოწმინდის და წყაროსთავის ადმ.შენობაში საპირფარეშოს მოწყობის სამუშაოები -6832 ლარი.

6) სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა 52281 ლარი. მათ შორის: 2020 წელს განსახორციელებელი პროექტების სრული საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა 40000 ლარი, #79 ხელშეკრულებით (#4 საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია) ასანაზღაურებელი თანხა 12281 ლარი.

7) სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა- საქართველოს

მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის #2630 განკარგულებით განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება - 222229 ლარი. 8) ა(ა)იპ რაგბის კლუბი ვეფხვების სუბსიდიის 30000 ლარის დამატება შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურების დასაფინანსებლად (#147-02 20.01.2020წ). 9) მგფ-ის სესხის წინა წლის დავალიანება (გადახდის გრაფიკზე დამატებული თანხა) 7700 ლარი. 10) სოფლის ამბულატორიების ხელშეწყობა და ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია 500 ლარი, კერძოდ ს.უდაბნოს ამბულატორიის გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის აბონენტად აყვანის ღირებულება. სულ წინა წლის ნაშთიდან საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე განაწილდა 1303484 ლარი.

მესამე ცვლილებით: დადგენილების პროექტის მომზადება გამოიწვევლია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის #2630 განკარგულებით გამოყოფილი თანხის დამატებით, მთავრობის მ/წლის 18 მარტის #557 განკარგულებით და საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე თანხების გადანაწილებით.

პროექტის ფინანსური დასაბუთება: პროექტის მიღებასთან დაკავშირებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 1757,618 ათასი ლარით, გადასახდელები სახ.ბიუჯეტით გაიზარდა 1757,618 ათასი ლარით. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 მარტის #584 განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის #2630 განკარგულებაში და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 1757618 ლარი. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის #2630 განკარგულებით 2020 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის დამატებით გამოყოფილი თანხიდან, წყლის სისტემების რეაბილიტაციის ქვეპროგრამის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლს დაემატა 1757618 ლარი, კერძოდ დაფინანსდა:

- 1) ს.გიორგიწმინდის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა - 862886 ლარი, (თანადაფინანსება 45416 ლარი გათვალისწინებული იყო დამტკიცებულ ბიუჯეტში);
- 2) ს.გომბორის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა - 187307 ლარი, (თანადაფინანსება 9859 ლარი გათვალისწინებული იყო დამტკიცებულ ბიუჯეტში);
- 3) ს.კაზლარის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა - 707425 ლარი (თანადაფინანსება 37233 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში);

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 მარტის #557 განკარგულებით მოხდა გასულ წელს მთავრობის #2577 და#45 განკარგულებით გამოყოფილი თანხებიდან მორჩენილი ნაშთების სულ 81766 ლარის ახალი გადანაწილება, კერძოდ წყლის სისტემების რეაბილიტაცია - სოფელ უდაბნოში საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია 28339 ლარი; სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა - ქ.საგარეჯოში კახეთის გზატკეცილი #12ა-ს მიმდებარე ტერიტორიაზე მინი სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები 53427 ლარი. აღნიშნული თანხების გადანაწილება მოხდა ახალი გზების მშენებლობის ქვეპროგრამიდან 52722,33 ლარი, წყლის სისტემების რეაბილიტაცია ქვეპროგრამაში დარჩა 704,67 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ქვეპროგრამიდან - 28339 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ცვლილებები: საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 70-ე მუხლის საფუძველზე 67-ე მუხლის შესაბამისად გაიზარდა მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდი 60000 ლარით, შესაბამისად შემცირდა კულტურული ღონისძიებების ხარჯები (მოხსენებითი ბარათი#888-02 25.03.2020წ). სოფლის ამბულატორიების ხელშეწყობა და ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაციას დაემატა 2482 ლარი 2019წლის #150/1 ხელშეკრულებით ასანაზღაურებელი თანხა, შესაბამისად შემცირდა წყლის სისტემების რეაბილიტაციას არაფინანსური აქტივების ზრდა.

მეოთხე ცვლილებით დადგენილების პროექტის მომზადება გამოწვეულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის #2630 განკარგულებით გამოყოფილი თანხის დამატებით, და საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე თანხების გადანაწილებით, სხვა შემოსავლების წლიური მაჩვენებლის გაზრდით 110,0 ათასი ლარით და პრივატიზაციის წლიური მაჩვენებლის გაზრდით 150,0 ათასი ლარით, დღგ-ის შემცირებით 1029,8 ათასი ლარით.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობები სახ.ბიუჯეტით გაიზარდა 427.744 ათასი ლარით, გადასახდელები სახ.ბიუჯეტით გაიზარდა 427.744 ათასი ლარით. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 აპრილის #728 განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის #2630 განკარგულებაში და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა შემცირდა 4,673 ათ.ლარით. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივნისის #1049 განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის #2630 განკარგულებაში და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 432,417 ათასი ლარი. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 აპრილის #728 განკარგულებით ტენდერში ვაჭრობის შედეგად დაკლებული თანხებით 95385 ლარით შემცირდა ახალი გზების მშენებლობის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი; აღნიშნული შემცირებიდან 90712 ლარით დაფინანსდა სოფელ კაკაბეთში სასმელი წყლის ქსელის მოწყობის (II ეტაპი) სამუშაოები; საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივნისის #1049 განკარგულებით ტენდერში ვაჭრობის შედეგად დაკლებული თანხებით 4938 ლარით შემცირდა ახალი გზების მშენებლობის პროგრამაში გათვალისწინებული ობიექტების დაფინანსება, 28461 ლარით შემცირდა სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი; 7379 ლარით შემცირდა საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი; 7125 ლარით შემცირდა სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი; 19680 ლარით შემცირდა სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი; ამ განკარგულებით გამოთავისუფლდა 67583 ლარი. აღნიშნული ეკონომიით და დამატებით გამოყოფილი 432417 ლარით, სულ 500000 ლარით დაფინანსდა სოფელ თულარი/კაზლარის ცენტრალურ დამაკავშირებელ გზაზე ა/ბეტონის საფარის

მოწყობის სამუშაოები, სულ პროექტის ღირებულებამ მიმდინარე წელს შეადგინა 653592 ლარი, თანადაფინანსების 153592 ლარის გამოყოფა მოხდა სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის შემცირების ხარჯზე საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე. 134450.99 ლარით შემცირდა მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერი, მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების ღირებულების შესაბამისად, 191261,26 ლარით განისაზღვრა სახელშეკრულებო ღირებულება (შეთანხმების ოქმი#1 01.06.2020წ), მიმდინარე წლის დაფინანსება განისაზღვრა 142131,12 ლარით (დაფინანსების #320211-48 ხელშეკრულების 2020წლის 21 მაისის შეთანხმება). მიმდინარე წელს ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც გლობალურ, ისე საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე. შესაბამისად მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოს ეკონომიკური ზრდის და საგადასახადო შემოსავლების პროგნოზები. ზემოაღნიშნულის და „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მუნიციპალიტეტების კუთვნილი დამატებული ღირებულების გადასახადის პროცენტული განაწილების გათვალისწინებით, 2020 წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საგადასახადო შემოსავლების საორიენტაციო მაჩვენებელი შემცირდება 1437,6 ათასი ლარით და განახლებულმა მაჩვენებელმა შეადგინა 11481,9 ათასი ლარი, მათ შორის: კუთვნილი დღგ-ის განახლებული საორიენტაციო საპროგნოზო მაჩვენებელმა შეადგინა 8381,9 ათასი ლარი (მუნიციპალიტეტების კუთვნილი დღგ-ის 0,95%); ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლებმა შეადგინა 3100,0 ათას ლარი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მ/წლის 15 ივნისის #04-03/56928 წერილის საფუძველზე საგადასახადო შემოსავლების პროგნოზებისა და მუნიციპალიტეტის შემოსულობების სხვა წყაროების მოსალოდნელი შემცირების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა 2020 წლის ბიუჯეტის კორექტირება და შემცირდა ბიუჯეტის გადასახდელები შემოსავლების განახლებული პროგნოზების შესაბამისად. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობების 6 თვის შესრულებიდან გამომდინარე შესაძლებელი გახდა სხვა შემოსავლების წლიური მაჩვენებლის გაზრდა 110,0 ათასი ლარით და პრივატიზაციის წლიური მაჩვენებლის გაზრდა 150,0 ათასი ლარით. დასაკორექტირებელი 1177,6 ათასი ლარიდან ბიუჯეტის გადასახდელების შემცირება შესაძლებელი გახდა 769,8 ათასი ლარით, დღგ-ის შემცირება მოხდა 1029,8 ათასი ლარით.

ქვეპროგრამის დასახელება შემცირება (ლარი)

მუნიციპალიტეტის საკრებულო 10000

მუნიციპალიტეტის მერია 75000

სარეზერვო ფონდი 7500 გზების მიმდინარე შეკეთება 102000

საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება 30000

გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა 53600

შენობების ფასადების რეაბილიტაცია 46357

სადღესასწაულო ღონისძიებები 27000

სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 25000

კაპიტალური დაზანდებები დასუფთავების სფეროში 417

სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება 130000 სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა 60000

ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანება 2000

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში 3800

ა(ა)იპ - საგარეჯოს N105 კომპლექსური სასპორტო სკოლა 4500

ა(ა)იპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება 40000 სპორტული ღონისძიებები 14404

სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა 35000

ა(ა)იპ კულტურის ობიექტების გაერთიანება 40000

კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა 30000 კულტურული ღონისძიებები 4222

ახალგაზრდობის მხარდაჭერა 10000

სოფლის ამბულატორიების ხელშეწყობა და ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია 5000

უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება 9000

769800 დასუფთავება და გარემოს დაცვის პროგრამა გაიზარდა 25000 ლარით (შესაბამისად შემცირდა სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი), რადგან მ/წელს მუნიციპალიტეტის მიერ მოხდა 200 ცალი ნაგავშემკრები კონტეინერის შექმნა, რომელთა ნაწილის განთავსება მოხდა ქ.საგარეჯოსა და იმ სოფლებში საიდანაც საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას ახორციელებს შპს „პროგრესი 2011“. აღნიშნულიდან გამომდინარე შპს „პროგრესი 2011“-ს გაიზარდა განსახორციელებელი მომსახურების მოცულობები, ამიტომ საჭირო გახდა მასთან დადებული ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა. ნაგავშემკრები კონტეინერების ნაწილი განთავსდა მუნიციპალიტეტის დანარჩენ სოფლებში (საფუძველი ინფრასტრუქტურის სამსახურის მოხსენებითი ბარათი#1701-02 20.07.2020წ).

მეხუთე ცვლილების დადგენილების პროექტის მომზადება გამოიწვია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის #2630 განკარგულებით გამოყოფილი თანხის შემცირებამ, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს #1573 განკარგულებით თანხის გამოყოფით და საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე ნაშთის გამოყენებით.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობები სახ.ბიუჯეტით გაიზარდა 767,071 ათასი ლარით, გადასახდელები სახ.ბიუჯეტით გაიზარდა 767,071 ათასი ლარით. საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე გადასახდელები გაიზარდა 400,000 ათასი ლარით ნაშთის გამოყენების ხარჯზე. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 ივლისის #1419 განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის #2630 განკარგულებაში და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა შემცირდა 26,898 ათ.ლარით. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს #1578 განკარგულებით შევიდა ცვლილება

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის #2630 განკარგულებაში და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა შემცირდა 103,625 ათ.ლარით. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს #1573 განკარგულებით „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ მუნიციპალიტეტს გამოეყო 897,594 ათასი ლარი. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 ივლისის #1419 განკარგულებით ტენდერში ვაჭრობის შედეგად დაკლებული თანხებით 1755 ლარით შემცირდა ახალი გზების მშენებლობის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი; 3761 ლარით შემცირდა სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი; 21382 ლარით შემცირდა სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი; საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს #1578 განკარგულებით ტენდერში ვაჭრობის შედეგად დაკლებული თანხებით 203625 ლარით შემცირდა სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი (ს.გიორგიწმინდაში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა); ამ განკარგულებით გამოთავისუფლებული თანხიდან 100000 ლარით დაფინანსდა სოფელ ხაშში შესასვლელ გზაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, სულ პროექტის ღირებულება მიმდინარე წელს შეადგინა 105264 ლარი, თანადაფინანსების 5264 ლარის გამოყოფა მოხდა სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში ზემოთ აღნიშნული ეკონომიის ხარჯზე და დაემატა ახალი გზების მშენებლობის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლს (პროექტის სრული ღირებულება შეადგენს 1 481 890 ლარს და დასრულების სავარაუდო ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 ივნისი). დარჩენილი 103625 ლარით კი შემცირდა განკარგულებით გამოყოფილი თანხა და განისაზღვრა 6907265 ლარით. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს #1573 განკარგულებით მუნიციპალიტეტს სოფელ მანავში მანავის ციხესთან მისასვლელი საავტომობილო გზის მოწყობისათვის გამოეყო 897594 ლარი, პროექტის მთლიანი ღირებულებაა 1402490 ლარი, თანადაფინანსებისთვის საჭირო 504896 ლარის გათვალისწინება მოხდა საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე 1 იანვრისთვის არსებული გამოუყენებელი ნაშთიდან 400000 ლარი და 104896 ლარის დამატება მოხდა სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში არსებული აუთვისებელი თანხიდან. დასუფთავება და გარემოს დაცვის პროგრამა გაიზარდა 5000 ლარით (შესაბამისად შემცირდა სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი), რომელიც დაემატა შპს „სუფთა მუნიციპალიტეტი 2018“-ის სუბსიდიას დაზიანებული ნაგავშემკრები კონტეინერების შესაკეთებლად. 129 000 ლარით გაიზარდა სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი (შესაბამისად შემცირდა სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი) კერძოდ დაფინანსდა, სოფელ ნინოწმინდაში ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონის რეაბილიტაციის სამუშაოები -30000 ლარი, სოფელ მანავში ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონის რეაბილიტაციის

სამუშაოები-30000 ლარი და სოფელ უდაბნოში ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები.

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯებში დაემატა 871607 ლარი.

პერიოდულად, საკრებულო ახორციელებდა ზედამხედველობას მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ხარისხიან და დროულ შესრულებაზე, იდენტიფიცირებულია პრობლემები და გაცემულია რეკომენდაციები მათ აღმოსაფხვრელად.

3. მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში:

ა. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 თებერვალს მიღებულია #2 დადგენილება „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ“. აღნიშნული დადგენილებით დამტკიცდა ქ.საგარეჯოს ტერიტორიის ზონირება და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.

ბ. მერის ინიციატივით დამტკიცდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა და პრივატიზაციის გეგმა, თუმცა როგორც ზემოთ ავღნიშნეთ საკრებულოს მიერ არ დამტკიცდა მერიის მიერ წარმოდგენილი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის ცვლილების პროექტი.

გ. 2020 წლის 25 სექტემბრის N23 განკარგულებით საკრებულომ მისცა თანხმობა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს ქ.საგარეჯოში, კახეთის გზატკეცილის N13-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის, ფართით 178 კვ.მ. (ს/კ. 55.12.75.206), უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“-სთვის გადაცემაზე.

დ. 2020 წლის 25 სექტემბრის N22 განკარგულებით საკრებულომ მისცა თანხმობა საგარეჯოს მუნიციპალიტეტს მერს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხაშშიში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, ფართით 44971.00 კვ.მ. ს/კ. 55.50.53.007, პირდაპირი განკარგვის წესით, დროებითი სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 10 (ათი) წლის ვადით, საქართველოს საპატრიარქოსთვის გადაცემაზე

მოსახლეობასთან შეხვედრები:

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები, საკრებულოს წევრები, არსებული რეკომენდაციების სრული დაცვით, რეგულარულად ვაწყობდით შეხვედრებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობასთან, სოფლებში არსებული პრობლემების შესასწავლად.

აღნიშნული პრობლემები შემდგომში რეაგირებისთვის გადაგზავნილია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში.

საჯარო ინფორმაციისა და ინფორმაციის თავისუფლების შესახებ

- საკრებულოში შემოსულია საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ 7 მოთხოვნა. მათ შორის ინფორმაციის თავისუფლებისა და განვითარების ინსტიტუტიდან IDFI – 2 მომართვა, "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" -2 მომართვა, საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი – 1 მომართვა, რეგინფო – 1 მომართვა, მოქალაქე ნანა დევიძე ქ.გურჯაანი – 1 მომართვა.
- მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობაა 7. გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურე - საკრებულოს აპარატის უფროსი ილია სიფროშვილი. მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა.
- არ მომხდარა საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, შენახვა და სხვისთვის გადაცემა.
- საჯარო მოსამსახურეების მიერ არ განხორციელებულა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევა და შესაბამისად პასუხისმგებელ პირს არ დაკისრებია დისციპლინური სახდელი.
- საჯარო ინფორმაციის თაობაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ არის მიღებული, შესაბამისად საკრებულოს არა აქვს მსგავსი გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევა.
- საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში არ ყოფილა.

შევეცადე ჩემს ანგარიშში მოკლედ გადმომეცა მუნიციპალიტეტში საანგარიშო პერიოდში არსებული მდგომარეობა. მიმაჩნია რომ ბევრი რამე გაკეთდა თუმცა უფრო მეტია გასაკეთებელი და ძალისხმევას არ დავიშურებ ჩვენი მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ, რაშიც მაქვს საკრებულოს და აღმასრულებელი ხელისუფლების იმედი.

და ბოლოს მადლობა მინდა გადავუხადო საკრებულოს ყველა თანამშრომელს საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობისთვის. მე მჯერა, რომ საკრებულო და აღმასრულებელი ორგანო კიდევ უფრო მეტად ჩავერთვებით ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობისთვის ბრძოლაში.